



# საქართველოს პრემიერ-მინისტრის ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

№28 2021 წლის 12 თებერვალი ქ. თბილისი

**ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს წევრთა  
დანიშვნის შესახებ**

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში – საბჭო) წევრებად დაინიშნონ:

**თამარ მამსიკაშვილი** – სსიპ – ქალაქ თბილისის №186 საჯარო სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი, საბჭოს თავმჯდომარე;

**დავით მალაზონია** – შპს „თანამედროვე განათლების აკადემიის“ დირექტორი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;

**ქეთევან ნატროშვილი** – შპს „ქართული სასწავლებელი – თბილისის“ დირექტორის მოადგილე;

**რევაზ აფხაზავა** – კოალიციის „განათლება ყველასათვის – საქართველო“ პოლიტიკის ადვოკატირების ოფიცერი, გამგეობის წევრი, ა(ა)იპ – განათლების პოლიტიკის, დაგეგმვისა და მართვის საერთაშორისო ინსტიტუტის გამგეობის თავმჯდომარე;

მაკა მამფორია – შპს „ლამარა მარგველაშვილის სახელობის სკოლა XXI საუკუნის“ საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა კათედრის ხელმძღვანელი;

ზვიად გოგუაძე – საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს – ქალაქ ხაშურის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი;

პეტრე ბაბილუა – შპს „ევროპული სკოლის“ მათემატიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, ზოგადი განათლების ხარისხის ექსპერტი;

ეკატერინე კვირიკაშვილი – საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს – ძველი თბილისის რაიონის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი;

ია აფთარაშვილი – სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი, განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს სკოლამდელი და ზოგადი განათლების განვითარების დეპარტამენტის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის კვლევების კოორდინატორი;

ლიანა კობესაშვილი – შპს „ინტელექტი XXI-ის“ მასწავლებელი, ზოგადი განათლების ხარისხის ექსპერტი;

ზაქარია ქიტიაშვილი – სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის განათლების მეცნიერებათა დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი;

გიორგი გიგიბერია – ა(ა)იპ – ფონდ „საერთაშორისო განათლების ცენტრის“ პროგრამების მენეჯერი;

ქეთევან ბოტკოველი – სსიპ – ქალაქ თბილისის №195 საჯარო სკოლის პედაგოგი, ზოგადი განათლების ხარისხის ექსპერტი, საბჭოს მდივანი.

გიორგი გახარია

